

## ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პროცესის აპროცესული ფორმაციზაცია

თეიმურაზ კაპანაძე, ალექს ცინცაძე, ომარ გაბედავა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბიოტექნოლოგიური სისტემების სტრუქტურა და ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა ფორმალიზებული აღწერა. დამუშავებულია სისტემის ფუნქციონირების მათემატიკური მოდელი, რომელიც მიეკუთვნება მართვის თეორიაში ცნობილ განაწილების ამოცანათა კლასს. მოცემულ შემთხვევაში მათემატიკა წარმოდგენილია არა როგორც რაოდენობრივი გათვლების მეთოდი, არამედ როგორც სისტემის „აზროვნების“ ხარისხობრივი მახასიათებელი.

**საკვანძო სიტყვები:** ბიოტექნოლოგია. ბიოპროცესი. მოდელირება. სიმრავლე. ფორმალიზებული აღწერა.

### 1. შესავალი

თანამედროვე ბიოტექნოლოგიური (და არა მარტო ბიოტექნოლოგიური) კომპლექსები, წარმოადგენს ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანების სიმრავლის კანონზომიერ გაერთიანებას, ამა თუ იმ ბიოპროცესის ტექნოლოგიური სქემის, რომელიც ასრულებს გარკვეულ სამუშაოთა მიმდევრობებს, გარკვეული მიზნის მისაღწევად. როგორც წესი ბიოპროცესის ტექნოლოგიური სქემის აგება ანუ რაიმე ბიოტექნოლოგიის დამუშავება წარმოადგენს რთული ექსპერიმენტალური კვლევა-ძიების და სხვადასხვა აღმოჩენების მეცნიერულ დასკვნათა ორგანიზაციის შედეგს.

### 2. ძირითადი ნაწილი

მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაცია, როგორც ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების უნივერსალური მახასიათებელი, წარმოადგენს ფუნდამენტურ გაგებას, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში, გარკვეული კანონზომიერებით ათანამებს მეცნიერების და ტექნიკის სხვადასხვა დარგებს. მიუხედვად იმისა, რომ დარგთა სპეციალიზაციის თანამედროვე ხარისხი ძალზე ძნელად იძლევა აღნიშნული შეთანხმების საშუალებას, მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკიდან გამომდინარე დასაშვებად მიგვაჩნია „მონათესავე“ დარგთა სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდეს სრულიად ახალი მეცნიერული აზროვნება. ზემოაღნიშნული შეთანხმება გარკვეულწილად შესაძლებელია საყოველთაოდ ცნობილი სისტემების, როგორც აბსტრაქტული მოდელირების, თეორიაზე დაყრდნობით.


აქვე აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ტერმინი „მონათესავე“ პირობითია და იგულისხმება დარგთა ისეთი მეცნიერული ორგანიზაცია, რომელთა კვლევის შედეგების თანაკვეთაზე დაყრდნობით შესაძლებელია ახალი მეცნიერული აზროვნების ფორმირება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით სისტემა, ფართო გაგებით, წარმოადგენს ელემენტარულ სტრუქტურებისა და პროცესების ურთიერთებებითა სიმრავლეს, რომლებიც განსაზღვრული წესით გაერთიანებულია ერთი, საერთო მიზნის მისაღწევად და ეს მიზანი არ წარმოადგენს სიმრავლის რომელიმე კომპონენტის ფუნქციას, მათინ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ტექნოლოგიები განიხილება როგორც რთული სისტემა, მისი ყველა მახასიათებლით.

ზოგადად ბიოსისტემები, მასი მიზნების შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს უსასრულოდ, რომელიც გარკვეულ დროში ფუნქციონირებს უწყვეტად, გააჩნია ცვალებადი ხასიათი და დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე. თუ ბიოპროცესებს განვიხილავთ ფიზიკური და ქიმიური მოვლენების ჭრილში, დავვყრდნობით ბიოგიზიკის და ბიოქიმიის დასკვნებს, ვნახავთ, რომ მათ ელემენტებს გააჩნია დისკრეტულ მდგომარეობათა სასრული სიმრავლე, სტრუქტურათა მდგრადობის გარკვეული რაოდენობები.

გარდა ამისა თუ გავითვალისწინებთ ბიოპროცესების ციკლურ ხასიათს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი განეკუთვნება შერეული ხასიათის ტექნოლოგიურ პროცედურებს ანუ ბიოსისტემები უწყვეტ-დისკრეტული ტიპის რთული სისტემებია. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბიოსისტემის მიზანი რეალურად წარმოადგენს გარკვეულ ბიოპროდუქტს, რომელიც მიიღება გარკვეული ბიოტექნოლოგიური პროცესით.

წარმოვადგინოთ ბიოსისტემა აბსტრაქტულად და გამოვსახოთ განზოგადებული ბლოკ-სქემის სახის. (ნახ.1).



ნახ.1

სადაც  $X(x_1(t) \quad x_2(t) \quad \dots \quad x_n(t))$  - სისტემის შემაგალი პარამეტრებია, ხოლო  $\text{ტექნოლოგიური$  თვალსაზრისით - მისაღები ბიოპროცესების ნედლეულის კომპონენტები და მახასიათებლები. 9

$Y(y_1(t) \quad y_2(t) \quad \dots \quad y_m(t))$  - სისტემის მიზანი, ბიოტექნოლოგიურ ჭრილში პროცესის შედეგი (ბიოპროცესები), ჩაწერილი ფორმალიზებული სახით;

$F(f_1, f_2, \dots, f_K)$  სისტემის შედეგის მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესები, ზოგადად ბიოტექნოლოგიური პროცესი.

თანამედროვე პირობებში გარემოს ეკოლოგიურმა დაბაბულობამ და სხვა ფაქტორებმა ძალზე დართულა სასურველი პროდუქტების მიღება, რამც უპირველესად ასახვა პროგა ბიოპროცესების წარმოებაში. გარემო პარამეტრების ცვლილებების ხარისხის ზრდამ თავისთავად დააყნა ბიოტექნოლოგიებზე წწრაფად რეაგირების და კორექტორების საკითხი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულმა კი ბიოპროცესების (და ზოგადად პროდუქტების) წარმოების პროცესება შემდეგი სახით წარმოგვიჩინა:

ბიოპროცესების წარმოებისას, დროის მოცემულ განაკვეთში, მოხდეს ბიოტექნოლოგიური პროცესის ისეთი რეჟიმებით გადაწყობა (კორექტირება), რომელიც ნედლეულის მოცემული პარამეტრების (მახასიათებლების), გარემოფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასურველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

ზოგადად ბიოპროცესების ხარისხი განიხილება, როგორც მისი ფიზიკური და ქიმიური ურთიერთებებითა შესაბამისობები (თავსებადობები), დამოკიდებულებები, გამოხატული რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

როგორც წესი, ბიოტექნოლოგიური პროცესის შედეგი, ბიოპროცესები, ხასიათდება ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლის დიდი განზომილებით, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს მის თვისებას. ამ მაჩვენებლების ერთი ნაწილი გარკვეულ ზღვრებშია მოქცეული, მეორე შემოსაზღვრულია ქვემოდან და რაც მეტია მისი მნიშვნელობა, მით ხარისხიანია პროდუქტი, ხოლო მესამე, პირიქით შემოსაზღვრულია ზემოდან და მიზანშეწონილია მათი მინიმალური რაოდენობის არსებობა პროდუქტის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ბიოპროცესების ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლის თითოეული კომპონენტი (ელემენტი), როგორც ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია შემავალ პარამეტრებთან. ასევე ურთიერთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია შემავალი პარამეტრების დიდი ნაწილი, რომელსაც პირობითად ვუწოდოთ რეჟიმული პარამეტრები და რომლებზედაც დიდად არის დამოკიდებული ბიოტექნოლოგიური პროცესს წარმართვა.

იტყვიან, რომ სისტემა მოცემულია, თუ გარკვეული კანონზომიერებით აღწერილია სისტემის სტრუქტურა და ის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავს სისტემის ყოფაკცევას. თუ სისტემა აღწერილია მათემატიკურად, მაშინ საქმე გვაქვს სისტემის მათემატიკურ მოდელირებასთან, სისტემის ფუნქციონირების მათემატიკურ მოდელთან. მოცემულ შემთხვევაში მათემატიკა წარმოდგენილია არა როგორც რაოდენობრივი გათვლების მეთოდი, არამედ როგორც სისტემის „აზროვნების“ ხარისხობრივი მახასიათებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, თუ რაიმე წესით ცნობილია ბიოსისტემის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა ფორმალიზებული აღწერა, ანუ ბიოტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის აზრობრივი არსი ჩაწერილია მათემატიკური ფორმულებისა და განტოლებების სახით, შეიძლება ითქვას, რომ აგებულია ბიოსისტემის მათემატიკური მოდელი.

სისტემური მიღებობის ჭრილში, ბიოტექნოლოგიური პროცესის განზოგადოებული მათემატიკური მოდელი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი ფორმულირებით:

$$Y^{(r)} = F^{(r)}(X^{(r)}, U^{(r)}, \Psi^{(r)}) \quad \sim !^{\circ}$$

სადაც  $r = (\overline{1, R})$  - წარმოადგენს ბიოტექნოლოგიური რეჟიმის ინდექსს;

$$Y^{(r)} = \{y_j^{(r)}\} \quad J = (\overline{1, m}) \quad \sim @^{\circ}$$

პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლეა და აქმაყოფილებს პირობებს:

$$\alpha_{J_1} \leq Y_{J_1}^{(r)} \leq \beta_{J_1} \quad J_1 = (\overline{1, k}) \quad k, m \quad \sim #^{\circ}$$

$$\begin{cases} Y_{J_2}^{(r)} \geq \alpha_{J_2} & J_2 = (k+1, d) \\ Y_{J_2}^{(r)} \rightarrow \max & d < m \end{cases} \quad \sim \$^{\circ}$$

$$\begin{cases} Y_{J_3}^{(r)} \leq \beta_{J_3} & J_3 = (d+1, m) \\ Y_{J_3}^{(r)} \rightarrow \min & \end{cases} \quad \sim \%^{\circ}$$

$X^{(r)}$  - პროდუქციის ნედლეულის კომპონენტების და ხარისხობრივი მახასიათებლების სიმრავლეა და

$$X^r = \{x_i^{(r)}\} \quad i = (\overline{1, n}) \text{ 9}$$

$U^{(r)}$  -  $(r)$  ბიოტექნოლოგიური პროცესის რეჟიმული პარამეტრებია და

$$U^{(r)} = \{U_p^{(r)}\} \quad P = (\overline{1, L}) \text{ 9}$$

$\Psi^{(r)}$  - გარემოფაქტორული ზემოქმედების პარამეტრების სიმრავლეა და

$$\Psi^r = \{\xi_q^{(r)}\} \quad q = (\overline{1, Q}) \text{ 9}$$

$F^{(r)} = \{f_J^{(r)}\} (J = \overline{1, m})$  -  $(r)$  - ბიოსისტემის შედეგის, ბიოპროდუქტის მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესების მატრიცაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შემოვიტანოთ შემდეგი განსაზღვრებები:

### განსაზღვრა 1. თუ მოცემულია:

!` დასამზადებელი  $r$  - აპრიორული ბიოპროდუქტის  $\{Y_i^{(r)}\}$  ხარისხობრივი მაჩვენებლები (ბიოპროდუქტის შედეგის მიღებისას) სასრული სიმრავლის სახით, შესაბამისი ზღვრული მნიშვნელობებით 9

@` ცნობილია ან რაიმე წესით განსაზღვრა  $i = (1, n_r)$  ნედლეულთა სასრული სიმრავლე, რომელისაგანაც შესაძლებელია  $r$  ბიოპროდუქტის მიღება

მაშინ  $(1 \div 5)$  მათემატიკური მოდელის განსაზღვრული  $X^{(r)}$  და  $U^{(r)}$  რეჟიმული პარამეტრების მნიშვნელობებით შედგენილი  $\{f_r\}$  მიზანდასახულ ქმედებათა წესების მატრიცა უზრუნველყოფს  $r$  - ბიოპროდუქტის მიღებას, მოთხოვნილი პარამეტრებით.

მათემატიკური თვალსაზრისით ზემოგანხილული სისტემის ფუნქციონირების მათემატიკური მოდელი მიეკუთვნება მართვის თეორიაში ცნობილ განაწილების ამოცანათა კლასს. ბიოფიზიკის, ბიოქიმიის და ბიოგაბერნეტიკის ძირითად დასკვნებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად ბიოსისტემები განაწილებადია. საკითხი ეხება ისეთ ბიოპროცესებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნივთიერებათა კონცენტრაცია და, შესაბამისად, ახალი კონცენტრატის მიღება, ნივთიერებათა მოღებულების დიფუზია და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ზემოჩამოყალიბებული მათემატიკური მიღება გადაიკვეთება ბიოტექნოლოგიის იმ მიმართულებებთან, რომელთა პრობლემატიკა ახალი ბიოპროდუქტის მიღების ტექნოლოგიით დამტავებაა, აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას:

განსაზღვრა 2. თუ საჭიროა თეორიულად დამუშავებული ბიორპოდუქტის დამზადება, რომლის მიღების ტექნოლოგია უცნობია, მაგრამ ცნობილია (ან რაიმე წესით დადგინდა) იმ ნედლეულთა სასრული სიმრავლე, რომელისაგანაც ბიოპროდუქტი შეიძლება მივიღოთ, მაშინ ზემოგანხილული მათემატიკური მიღებობის (განსაზღვრა 1), არსებული ცოდნის ფარგლებში

შესაძლებელია განისაზღვროს მისი დამზადების ტექნოლოგიური სქემა, მონათესავე ტექნოლოგიების რეჟიმული გადაწყვობით.

ზემომოხსენებულ თეორიულ ბიოპროდუქტში იგულისხმება ყველა ის ახალი ბიონაცარმი, რომელთა მოხმარება დღის წესრიგში დააყენა მოცემულმა გარემო პირობებმა და რომელთა სტრუქტურის (შედგენილობის) განსაზღვრა შესაძლებელია. ესენი შეიძლება იყოს სხვადასხვა სამკურნალო თუ პროფილაქტიკური კონცენტრატები, რომელთა მიღების აუცილებლობა განაპირობა ეკოლოგიურმა დაბაშულობამ, თუ ახლად აღმოცენებულმა დაავადებებმა, კოსმეტიკური თუ პარფიუმერული პროდუქტები, სხვადასხვა სახის ნიაღავის გამამდიდრებელი სასუქები და ა.შ.

აღნიშნული მიმართულების პრესკექტიულობის იმედს იძლევა ავტორთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები ქ. უიტომირის (უკრაინა) ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, სადაც ერთიდავივე ნედლულის, ერთიდამავე ტექნოლოგიურ ხაზზე, პროცესის რეჟიმული გადაწყვობით მიღებულ იქნა ორი თვისობრივად განსხვავებული პროდუქტი, წინასწარმოთხოვნილი ხარისხობრივი მაჩვენებლებით. გარდა ამისა ბუნებაში მიმდინარე პროცესებიდან ცნობილია ისეთი ტექნოლოგიებიც, როცა ერთიდაგივე ნივთიერებებისაგან მიიღება სხვადასხვა რადიკალურად განსხვავებული ბიოპროდუქტები.

### **3. დასკვნა**

აპრიორული პროდუქტის ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმის მოდელის განსაზღვრამ შესაძლებელია განსაკუთრებული პრაქტიკული დატვირთვა შეიძინოს სხვადასხვა ბიოპროდუქტების ნარჩენების (მეორადი მატერიალური რესურსების) გადმუშავების პროცესში (უკუმოცანა), მათგან შესაძლებლობის ფარგლებში სასურველი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღების თავლსაზრისით. თანამედროვე კლასიკური ბიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, ბიოფიზიკის, ბიოქიმიის, ბიოკიბერნეტიკის და სხვა მონათესავე დისციპლინების პროგრესული მეცნიერული დასკვნების თანაკვეთა, კვირის თვისობრივად ახალ მიმართულებას მისცემს დასმულ პრობლემას და ჩამოაყალიბებს სრულიად ახალ მეცნიერულ აზროვნებას, პირობითად - კიბერნეტიკული ბიოტექნოლოგიის სახით.

### **ლიტერატურა**

1. ცინცაძე ა., კაპანაძე თ., გაბედავა ო. დაპტური მოდელირება სრული იდენტიფიკაციის ამოცანაში. შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები №1. თბილისი. 2006.

## **APRIORIAL FORMALIZATION OF SEVERAL PROBLEMS REGARDING THE BIOTECHNOLOGICAL SYSTEMS MODELLING**

Kapanadze Teimuraz, Tsintsadze Aleko, Gabedava Omar  
Georgian Technical University

### **Summary**

The biotechnological system structure is considered and the functional correlation is formally developed. The mathematical model of the functional systems is formulated, including within the famous class of the delegated tasks within the management theory. In this case, mathematics is not presented as the qualitative calculation method, by the quantitative indicator of "thinker" system.

## **АПРИОРНАЯ ФОРМАЛИЗАЦИЯ НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМ МОДЕЛИРОВАНИЯ БИОТЕХНОЛОГИЧЕСКИХ СИСТЕМ**

Капанадзе Т., Цинцадзе А., Габедава О.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Рассмотрена структура биотехнологических систем и формализованное описание функциональных отношений. Разработана математический модель функционирования систем, которая относится к известному классу распределенных задач в теории управления. В данном

случае математика представлена не как метод количественного рассчёта, а как качественный показатель «мышления» систем.